

შპს "ნომ 2017"

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ნომ 2017"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	31.12.19	31.12.18
გრძელვადიანი აქტივები		
წმინდა ფიქსირებული აქტივები	48,589.93	57,277.01
	48,589.93	57,277.01
მიმდინარე აქტივები		
წინასწარ გაწეული ხარჯები	466.30	466.30
სასაქონლო მარაგები	38,695.13	38,695.13
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,402.83	1,103,215.75
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,308.12	19,674.67
	41,872.38	1,162,051.85
	90,462.31	1,219,328.86
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2,500.89	2,500.89
გაუნაწილებელი მოგება	79,869.96	889,458.75
	82,370.85	891,959.64
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,868.60	153,369.90
საგადასახადო ვალდებულებები	(17,777.14)	173,999.32
	8,091.46	327,369.22
	90,462.31	1,219,328.86

დირექტორი

ნ. ოზ



ბუღალტერი

მ. ჭელიძე

შპს "ნომ 2017"

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

2018

მოგება/(ზარალი) სამეურნეო ოპერაციებიდან

ამონაგები მომსახურებიდან -

მომსახურების თვითღირებულება -

ადმინისტრაციული ხარჯები (55,485.16)

მოგება დაბეგვრამდე (55,485.16)

მოგების გადასახადი -

წმინდა მოგება/(ზარალი) სამეურნეო ოპერაციებიდან -

სხვა სრული შემოსავლები

საკურსო სხვობის წმინდა ეფექტი 44,274.05

44,274.05

მთლიანი სრული შემოსავალი

(11,211.11)

დირექტორი

ნ. ოზ

ბუღალტერი

მ. ჭელიძე



შპს "ნომ 2017"

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

2019

პერიოდის მოგება/(ზარალი)	(11,211.11)
--------------------------	-------------

საოპერაციო საქმიანობა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,101,812.92
----------------------------	--------------

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(127,501.30)
-------------------------------	--------------

გადასახადები	(191,776.46)
--------------	--------------

	<u>782,535.16</u>
--	-------------------

საინვესტიციო საქმიანობა

ძირითადი საშუალებების ცვლილება	8,687.08
--------------------------------	----------

	<u>8,687.08</u>
--	-----------------

საფინანსო საქმიანობა

დივიდენდები	(798,377.68)
-------------	--------------

	<u>(798,377.68)</u>
--	---------------------

ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება	(18,366.55)
----------------------------------	-------------

საწყისი ფული	19,674.67
--------------	-----------

საბოლოო ფული	<u>1,308.12</u>
--------------	-----------------

დირექტორი

ნ. ოზ



ბუღალტერი

მ. ჭელიძე

შპს "ნომ 2017"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ლარი)

	კაპიტალი	მოგება/ზარალი	ჯამი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2,500.89	889,458.75	891,959.64
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(11,211.11)	(11,211.11)
გაცემული დივიდენდები	-	(798,377.68)	(798,377.68)
	-	(809,588.79)	(809,588.79)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2,500.89	79,869.96	82,370.85

დირექტორი
ნ. ოზბუღალტერი
მ. ჭელიძე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ნომ 2017" რეგისტრირებულია 2017 წლის 11 მაის. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის #131. მისი ძირითადი საქმიანობაა სამოქალაქო მშენებლობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან ან/და მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ

მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- | | |
|-----------------------|-------------|
| • ოფისის აღჭურვილობა | 15 პროცენტი |
| • ავეჯი და ინვენტარი | 15 პროცენტი |
| • მანქანა-დანადგარები | 15 პროცენტი |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების

ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.